

კრიპტოვალუტის საქართველოს ფინანსურ სისტემაში ინტეგრირების გამოწვევები და სტრატეგიული მიდგომა ბლოკჩეინისა და უძრავი ქონების მიმართ კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად

საქართველოს ეროვნული ბანკი განმარტავს, რომ **ვირტუალური ვალუტა** საქართველოში ლეგალური გადახდის საშუალება არ არის. შესაბამისად, არ ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების სფეროს. დეცენტრალიზირებულ ვალუტასთან კი მრავალი საფრთხეა დაკავშირებული:

ვირტუალურ ვალუტებს დღეს ფასების მაღალი ცვალებადობა ახასიათებთ.

ვირტუალურ ვალუტებს აკლია ცენტრალური ორგანო/ავტორიტეტი, რაც ართულებს მომხმარებელთა პრობლემებისა და დავების გადაწყვეტას.

ვირტუალური ვალუტით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი ბირჟის პლატფორმებისა და ციფრული საფულეების, შესაბამისად, გაურკვეველი სამართლებრივი სტატუსის, მეშვეობით ხდება.

კრიპტოვალუტის შემოსავალი ხელს უწყობს ჩრდილოვან ეკონომიკას, რადგან ის მუშაობს რეგულირების გარეშე, რაც მიმზიდველს ხდის არალეგალურ ბიზნესს. გარდა ამისა, მისი არარეგულირებული ბუნების გამო, კრიპტოვალუტებიდან მიღებული შემოსავალი ეფექტურად ვერ აღირიცხება.

მომხმარებლებს, რომლებიც ტრანზაქციებს მსგავსი პლატფორმების საშუალებით ახორციელებენ, ექმნებათ იურიდიული და ფინანსური რისკები, რის გამოც ცენტრალური ბანკები მთელ მსოფლიოში **თანამშრომლობენ ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩოს შესაქმნელად**.

რეკომენდაციები:

აუცილებელია საქართველოში დაინერგოს **„ნამდვილი სახელის ანგარიშის“** სისტემა, რაც გულისხმობს ხელშეკრულების არსებობას ბანკებსა და კრიპტოვალუტის დილერს შორის.

უნდა **განისაზღვროს კრიპტოვალუტის ფლობის ლიმიტი**, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში, შემუშავებული **„ეთიკის აქტის“** შესაბამისად, აუცილებელი იქნება კრიპტოვალუტაში ინვესტიციების დეკლარაციაში ასახვა, რისთვისაც აღირიცხება ტრანზაქციები.

საქართველოში **„მაინინგ" ოპერაციები** უნდა დაექვემდებაროს 20%-იან **დაბეგვრას**. კრიპტოვალუტის ტრანზაქციებზე ფიზიკურ პირებს უნდა ევალებოდეთ კაპიტალის მოგების გადასახადის გადახდა.

მაინინგი უნდა ჩაითვალოს სამეწარმეო საქმიანობად. მთავრობას უნდა შეეძლოს ენერგომოხმარების ლიმიტის დაწესება სამაინინგო ოპერაციებისთვის.

აშშ-ის მოდელზე დაყრდნობით, საქართველოს შეუძლია **შეიმუშაოს მარეგულირებელი ბაზა სტაბილკოინებისთვის**. ეს მოიცავს სტაბილკოინების ემიტენტების ლიცენზირებას, რომლის შედეგად მხოლოდ დამტკიცებულ და სანდო ორგანიზაციებს შეეძლებათ მათი შექმნა და მართვა.

ლარით მხარდაჭერილი სტაბილკოინები საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება განიხილებოდეს როგორც ელექტრონული ფული. ბანკმა უნდა ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი ბუღალტრული ფირმის მიერ რეზერვების **რეგულარული აუდიტის გრაფიკი**. ბლოკჩეინის გამჭვირვალე ბუნების გამო, შესაძლებელი იქნება სტაბილკოინის რეზერვების რეალურ დროში მონიტორინგი.

ფინანსური ტრანზაქციების გამარტივება **ჭკვიანი კონტრაქტების** საშუალებით უნდა მოხდეს, რაც საბანკო, უძრავი ქონებისა და საფინანსო კომპანიების დაკავშირებას ითვალისწინებს. სამომავლო პერსპექტივაში შესაძლებელია ქალაქის სატრანსპორტო და საგადასახადო სისტემის შექმნა ბლოკჩეინზე.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

შენიშვნა:

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მასალა მომზადდა პროექტის, „ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორინგისთვის საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და მისი შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას.